სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
29.05.2015 N 82
თბილისი

სტუ-ს აკადემიური საბჭოს გაზრდის მიზნით
არჩევნების დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-10 მუხლის, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ" დებულებისა (შემდეგში - არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულება) და აკადემიური საბჭოს 2015 წლის 19 მაისის #1557 დადგენილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის შექმნასთან დაკავშირებით აკადემიური საბჭოს შემადგენლობის გაზრდის მიზნით დაინიშნოს აკადემიური საბჭოს დარჩენილი უფლებამოსილების ვადით ასარჩევი ორი წევრის არჩევნები 2015 წლის 18 ივნისს.
2. აკადემიური საბჭოს წევრის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს პირს, რომელსაც ფაკულტეტზე უკავია პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის თანამდებობა და აკმაყოფილებს უნივერსიტეტის წესდებით დადგენილ მოთხოვნებს. არჩევნებში მონაწილეობის უფლება არა აქვს პირს, რომელსაც სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უკავია ადმინისტრაციული ან აკადემიური თანამდებობა.
3. კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2015 წლის 5 ივნისს და დასრულდეს 2015 წლის 11 ივნისს.
4. კანდიდატებმა განცხადება უნდა შეიტანონ ააგრარული მეცნიერების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის საარჩევნო კომისიაში. განცხადებას თან უნდა დაერთოს:
ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პ/მოწმობის, პასპორტის) ასლი;
ბ) ცნობა ფაკულტეტზე დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესახებ.
5. არჩევნები ჩატარდეს არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულების შესაბამისად.
8. არჩევნების შედეგები გამოქვეყნდეს არჩევნების დამთავრების შემდეგ თვალსაჩინო ადგილზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

9. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის კორპუსებში თვალსაჩინო ადგილებზე და უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.
10. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერის დღიდან.

რექტორი *ა. ფრანგიშვილი*

ვიზა:

სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი ბ.მაისურაძე